ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2516256

ნომერი: AR1391687

თარიღი : 30.03.2016

გაცემის თარიღი : 31.03.2016

გაცნობის თარიღი : 31.03.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბაგები , გზატკეცილი წყნეთი , N36ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ ბაჩიაშვილი პ/ნ 20001018263
- აგლაძის 26, კორპ 5, ბინა 23

ორგანიზაცია:

- ოიქს დეველოპმენტი კოდი: 402000428

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 22/03/2016 წლის #2490600 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 30.03.2016 წლის #AR1391687 განცხადებით მომართა ზურაბ ბაჩიაშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 22/03/2016 წლის #2490600 ბრძანებაში, ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 22/03/2016 წლის #2490600 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ბაგები, წყნეთის გზატკეცილი #36ა–ში, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი N 01.14.08.002.013) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცეს მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 22 მარტიდან 2017 წლის 22 მარტის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, მათ მიერ ატვირთულ PDF ფორმატის გეგმებში იყო დაშვებული შეცდომა, კერძოდ, ფართების დაჯამებისას გამორჩენილია რამოდენიმე ბინის საზაფხულო ფართის მიმატება, რის შედეგადაც არასწორად დათვლილმა ფართებმა, საბოლოო ჯამში იმოქმედა ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლების სიზუსტეზე.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელი ითხოვს 22/03/2016 წლის #2490600 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის გეგმების ჩანაცვლებას, განაცხადზე თანდართული გეგმებით, აგრეთვე ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და დაფიქსირდეს შემდეგი მაჩვენებლები: საერთო ფართობი 5756.6 კვ.მ–ის ნაცვლად – 5992.64 კვ.მ საცხოვრებელი ფართობი 3208.55 კვ.მ–ის ნაცვლად – 3539.80 კვ.მ. კომერციული ფართობი 159.7 კვ.მ–ის ნაცვლად – 79.00 კვ.მ. საზაფხულო ფართობი 497.64 კვ.მ–ის ნაცვლად – 545.70 კვ.მ. კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 528.3 კვ.მ–ის ნაცვლად – 567.48 კვ.მ. დამხმარე ფართობი 543.56 კვ.მ–ის ნაცვლად – 440.50 კვ.მ. ავტოსადგომის ფართობი 820.2 კვ.მ–ის ნაცვლად – 820.16 კვ.მ.
სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადგინა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი, შესწორებული მაჩვენებლები შესაბამისობაშია შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 22/03/2016 წლის #2490600 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საერთო ფართობი 5756.6 კვ.მ–ის ნაცვლად – 5992.64 კვ.მ საცხოვრებელი ფართობი 3208.55 კვ.მ–ის ნაცვლად – 3539.80 კვ.მ. კომერციული ფართობი 159.7 კვ.მ–ის ნაცვლად – 79.00 კვ.მ. საზაფხულო ფართობი 497.64 კვ.მ–ის ნაცვლად – 545.70 კვ.მ. კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 528.3 კვ.მ–ის ნაცვლად – 567.48 კვ.მ. დამხმარე ფართობი 543.56 კვ.მ–ის ნაცვლად – 440.50 კვ.მ. ავტოსადგომის ფართობი 820.2 კვ.მ–ის ნაცვლად – 820.16 კვ.მ. სხვა მაჩვენებლები დარჩეს უცვლელი.
2. ჩანაცვლდეს 22/03/2016 წლის #2490600 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის გეგმები წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი გეგმებით.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 22/03/2016 წლის #2490600 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7),